ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5965019

ნომერი: AR1900295

თარიღი : 31.05.2022

გაცემის თარიღი : 07.06.2022

გაცნობის თარიღი : 07.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- აბანო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: აბანო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გამყრელიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ბახმარო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204383201
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამაზი კალანდაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019010063

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5893884
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.04.2022

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2022 წლის 12 აპრილის №5893884 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის 12 აპრილის №5893884 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის ქ. N3-ში, შპს ,,ბახმარო"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.04.019.030) არსებული აბანოს რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 12 აპრილიდან 2022 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

2022 წლის 31 მაისის AR1900295 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ირაკლი გამყრელიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2022 წლის 12 აპრილის №5893884 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის №5893884 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 12 აპრილიდან 2022 წლის 12 ივნისის ჩათვლით" შეიცვალოს ,, ნებართვა ძალაშია 2022 წლის 07 ივნისიდან 2022 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის №5893884 ბრძანებასთან ერთად;

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.